თქვენი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ ე.წ „სოციალურ სახლებში“ არსებული საცხოვრებელი ბინები 2013-2016 წლებში აჭარის მთავრობის მიერ საკუთრებაში სულ 217 ოჯახს გადაეცა. ამ მონაცემებში იგულისხმება :

თამარის დასახლება-104 ოჯახი:
101 - სტიქიით დაზარალებული ოჯახი;
2-სამამულო ომის ვეტერანი, სოციალურად დაუცველი, თავშესაფრის გარეშე დარჩენილი;
1-სოციალურად დაუცველი.

შუახევი - 49 ოჯახი:
48 - სტიქიის შედეგად დაზარალებული;
1-მრავალშვილიანი (10 სულიანი), თავშესაფრის გარეშე დარჩენილი.

ქედა - 64 ოჯახი:
63 - სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი;
1-სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების,თავშესაფრის გარეშე დარჩენილი.

გარდა ამისა, ხელვაჩაურის რაიონში, სოფელ კაპრეშუმში მდებარე სოციალურ სახლში მზადაა 50 ბინა 50 ეკომიგრანტი ოჯახისათვის გადასაცემად. ყველა მათგანს გავლილი აქვთ დამოწმების ყველა ეტაპი.

დამატებით გაცნობებთ, რომ ე.წ"სოციალურ სახლებში" მზადაა დამატებით 16 ბინა, აქედან 4 შუახევის მუნიციპალიტეტში, 12 თამარის დასახლებაში, ხოლო ქედაში 2 ბინასთან დაკავშირებით საჯარო რეესტრში მიმდინარეობს საკუთრების რეგისტრაციის პროცედურები. იგეგმება აღნიშნულ 18 ბინაზე გადაცემის პროცედურების დაწყებაც.